სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

## აკადემიური საბჭო

## დადგენილება № 09-40

გორი 19 09 2018წ.

### სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნრობის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 19 სექტემბრის N14 გადაწყვეტილების, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის (19.09.2018. N1166829) და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (19.09.2018. N1166119) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი დანართი N1-ის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჭოფზენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი N1

## სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი

| # | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | პროფესიული განათლების საფეხური | სწავლების ენა | კრედიტების რაოდენობა | პროგრამის ხანგრძლივობა (თვე) | ადგილების რაოდენობა | პროფესიული პროგრამის ღირებულება | პროფესიული კვალიფიკაცია | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მცირე ბიზნესის მწარმოებელი | IV | ქართული | 60 | 10 | 82 | 2,250 | მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | პირველადი საფეხური (საგნობრივი პროგრამა) |
| 2. | მცირე ბიზნესის მწარმოებელი | V | ქართული | 120 | 20 | 35 | 2,250 | მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | შემდგომი საფეხური (საგნობრივი პროგრამა) |
| 3. | რძის გადამმუშავებელი | IV | ქართული | 30 | 6 | 6 | 1500 | რძის გადამმუშავებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | შემდგომი საფეხური (საგნობრივი პროგრამა) |
| 4. | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | V | ქართული | 111 | 20 | 25 | 1726 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | პირველადი საფეხური (მოდულური პროგრამა) |
| 5. | პრაქტიკოსი ექთანი | V | ქართული | 134 | 24 | 25 | 3883 | პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცი | პირველადი საფეხური (მოდულური პროგრამა) |